

სემინარი

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით აფხაზეთის ა/რ

საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთათვის

1. ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობა, თანამედროვე გამოწვევები და პრობლემები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღებიდან ცხრა წლის განმავლობაში, შესაძლებელი გახდა საბჭოთა მიდგომების დაძლევა, თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი პრინციპის – გამჭვირვალე მმართველობის უზრუნველყოფის აუცილებლობის აღიარება და მისი დამკვიდრების ხელშეწყობა. ინფორმაციის თავისუფლების პრაქტიკის განვითარებამ უდავოდ იმოქმედა სტერეოტიპების ნგრევის თვალსაზრისით, მაგრამ ამავდროულად გამოავლინა ბევრი მნიშვნელოვანი ხარვეზი, რომელიც საჭიროებს დამატებით შესწავლასა და დახვეწას. აღნიშნული სფეროს განვითარებას ემსახურება საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებიც. **OECD-ის № 19 რეკომენდაციის შესაბამისად უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებში თანამდებობის პირთა დისკრეციული უფლებამოსილება და შემცირდეს იმ ინფორმაციის კატეგორია, რომლის გასაიდუმლოებაც დასაშვებია. მიღებულ იქნეს ზომები ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე, ამდღედეს როგორც საჯარო მოხელეთა, ისე მოქალაქეთა ცნობიერება.**

უზრუნველყოფილი იყოს, რომ არ იქნეს დაშვებული ინფორმაციის თავისუფლების ნორმების უკანონო შეზღუდვა.

ამავე შინაარსის მატარებელია GRECO-ის VII რეკომენდაცია: **„შეფასდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულებათა შესრულება იმის უზრუნველსაყოფად, რომ არაჯეროვნად არ მოხდეს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ საზოგადოების უფლების შეზღუდვა; ინფორმაციის გაცემისათვის პასუხისმგებელ პირებს ჩაუტარდეთ ტრენინგები“.**

საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის 2.2. პუნქტი ასევე შეეხება საჯარო სამსახურის გამჭვირვალეობის საკითხებს:

„კორუფციული გარიგების ერთ-ერთი უმთავრესი წინაპირობა სწორედ სახელმწიფო ორგანოთა ფუნქციონირების და საზოგადოების წინაშე მასზე დაკისრებული მოვალეობების გაუმჭვირვალედ და არასათანადოდ შესრულებაა, რაც, თავისთავად, მთელ რიგ შემთხვევებში კორუფციული ხასიათის გარიგებების დადების საფუძველს ქმნის. ამ კუთხით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ საზოგადოებამ სრულად და დაუბრკოლებლად მიიღოს ყოველი კონკრეტული სახელმწიფო ორგანოს, ადგილობრივი მმართველობისა თუ თვითმმართველობის ორგანოების მუშაობისა და მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების შესახებ ინფორმაცია. ამა თუ იმ ორგანოს ფუნქციების შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს საჯარო და ადვილად ხელმისაწვდომი“.

მნიშვნელოვანია, რომ ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია ხაზს უსვამს არა მარტო კონკრეტული სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მუშაობის შესახებ, არამედ მათზე დაკისრებული ვალდებულებების შესახებ ინფორმაციის ღიაობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

საქართველოს მიერ ინფორმაციის თავისუფლების თემის აქტუალიზაცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ ფონზე, როდესაც ევროპის საბჭო განიხილავს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კონვენციის პროექტს. სამომავლოდ ის სავალდებულო უნდა გახდეს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არამარტო დეკლარაციულ დონეზე აღიარებს ინფორმაციის თავისუფლების მნიშვნელობას, პრობლემები ამ სფეროში ძალზე ბევრია და მათი გადაჭრის გზები უნდა პასუხობდეს საერთაშორისო პრინციპებსა და თანამედროვე გამოწვევებს.

ა) ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი საერთაშორისო აქტები

„ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“ და „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია“ ის უმთავრესი საერთაშორისო აქტებია, რომლებმაც საფუძველი დაუდო ინფორმაციის თავისუფლების არსებობას.

- „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-19 მუხლის თანახმად, „ყოველი ადამიანი სარგებლობს აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, დაუბრკოლებლად მისდევდეს თავის მრწამსს და მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები ნებისმიერი საშუალებით, სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად“. იგივე პრინციპი ასახულია „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის“ მე-19 მუხლში, რომელიც მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ შემთხვევებში უშეუბამს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის შესაძლებლობას.¹
- „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის“ მე-10 მუხლი მიუთითებს: „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლება. ეს უფლება მოიცავს ადამიანის თავისუფლებას, ჰქონდეს მოსაზრებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და იდეები საჯარო ხელისუფლების ჩარევის გარეშე და საზღვრების მიუხედავად“.
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სავალდებულობას ითვალისწინებს „ერპუსის კონვენცია“, რომლის თანახმად, „საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი გარემოსდაცვითი ინფორმაცია, ცალკეული გამონაკლისების გარდა“. კონვენციის თანახმად – თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს უფლება, მიიღოს ინფორმაცია ყოველივე იმაზე, რაც ეხება მას უშუალოდ, რაიმე სახით ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ზეგავლენა მისი, მისი ოჯახის ან თემის ჯანმრთელობაზე, სიცოცხლეზე თუ გარემოზე, ან იმ საკითხებზე, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

სიახლეს წარმოადგენს „ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ კონვენციის“ პროექტი (რომელიც მოვისხენიეთ შესავალში). ეს კონვენცია, რატიფიკაციის შემდეგ, იქნება პირველი სავალდებულო ძალის მქონე საერთაშორისო დოკუმენტი, რომელიც ოფიციალურ დოკუმენტთა საჯაროობის საკითხს დაარეგულირებს და დაადგენს საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალების საერთაშორისო ნორმებს.

ბ) ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი აქტები საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, ექსპერტების მიერ საკმაოდ პროგრესულად არის შეფასებული. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებია:

- ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის უმთავრესი დოკუმენტი არის **საქართველოს 1995 წლის კონსტიტუცია**, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათა გამჭვირვალების საკმაოდ მაღალ სტანდარტს აწესებს.

1 ასეთი შეზღუდვის საფუძველი შესაძლებელია იყოს:
ა. სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემა;
ბ. სახელმწიფო უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა თუ ზნეობის დაცვა.

- კონსტიტუციის 24-ე მუხლი:
- „ყოველ ადამიანს აქვს უფლება – თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“
- კონსტიტუციის 41-ე მუხლი:
- „საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით, გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებებში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე, იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“
- საკანონმდებლო აქტი, რომელიც ე.წ. ინფორმაციის თავისუფლების აქტს წარმოადგენს და დეტალურად არეგულირებს საჯარო დაწესებულებათა გამჭვირვალებას, არის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (მიღებული 1999 წლის 25 ივნისს), III თავი „ინფორმაციის თავისუფლება“. აღნიშნული კანონი არის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მთავარი მარეგულირებელი.
- საქართველოს კანონი „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ - აღნიშნული საკანონმდებლო აქტი არეგულირებს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღებისათვის ერთიანი მოსაკრებლის არსებობას.
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27⁴-ე მუხლის თანახმად, საჯარო ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის საკითხი რეგულირდება „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ კანონით“ და მის შესაბამისად მიღებული პრეზიდენტის ბრძანებულებით „სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“.
- „საქართველოს საგადასახადო კოდექსი“ და „საქართველოს საბაჟო კოდექსი“ - აღნიშნული კოდექსებით რეგულირდება საგადასახადო და საბაჟო საქმიანობასთან დაკავშირებული ოფიციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, შესაბამისად აღნიშნული კოდექსები არეგულირებს მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევას.
- „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ - ინფორმაციის თავისუფლების პროცედურულად უზრუნველყოფის მხრივ მნიშვნელოვანია „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“, რომელიც ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დარღვევის შემთხვევაში, მისი სასამართლოს გზით აღდგენის შესაძლებლობას იძლევა.
- საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგია – ინფორმაციის თავისუფლების უზრუნველყოფისათვის დამატებითი ვალდებულებები გათვალისწინებულია საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებაში „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“, ასევე, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე“².

ჩამოთვლილი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები წარმოადგენენ საქართველოს ფარგლებში გამჭვირვალობისა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ძირითად ნორმატიულ ბაზას.

2. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურები (პრესსამსახურები)

“ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური არის ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეული და იგი შექმნილია ქ. თბილისის მერიის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და დედაქალაქის მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით” (ქ. თბილისის მერიის ადმინისტრაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის დებულების მუხლი 1, პუნქტი 1).

² 2007 წლის 2 ივლისი №363 განკარგულება

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ძირითად მიზანს საკმაოდ საფუძვლიანად უსვამს ხაზს წარმოდგენილი დებულება. პირველი კომპონენტი არის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, მეორე – მოსახლეობის წინაშე ანგარიშვალდებულება.

სწორედ ამ ორ ძირითად ფუნქციად შეიძლება გაიყოს საჯარო დაწესებულებებში, შესაძლოა სხვადასხვა სახელით არსებული, სამსახურები, რომელთა ძირითად ფუნქციას საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

დღევანდელი მდგომარეობით საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება და პასუხისმგებლობა ძირითადად შეთავსებული აქვს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებს, რაც ლოგიკურია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის არის განსხვავებაც.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა. ანუ ამ მიზნით, მათ კანონმდებლობით ეკისრებათ პოზიტიური ვალდებულება, აქტიური ქმედებით, საკუთარი ინიციატივით მიაწოდონ საზოგადოებას ინფორმაცია. მაგალითად, ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი ვალდებულია უზრუნველყოს: **“სამინისტროს ცენტრალური აპარატის სტრუქტურული ქვედანაყოფების საზოგადოებასთან და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან ურთიერთობის კოორდინაცია; მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სამინისტროს პრიორიტეტების, ეკონომიკური რეფორმების პროცესში მისი როლისა და მნიშვნელობის წარმოჩენა და ა.შ.”** დეპარტამენტი დაყოფილია სამ სამმართველოდ: ა) პრესასთან ურთიერთობის, ბ) საზოგადოებასთან ურთიერთობის და გ) ვებპორტალის. შესაბამისად, ყველა მათგანის საქმიანობა ემსახურება საჯარო დაწესებულების საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფას და ამავედროულად, მისი ინტერესების დაცვას. რა თქმა უნდა, აღნიშნული მოიცავს საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების ელემენტებს, თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ შეუძლებელია ამ ფორმით სრულყოფილად იქნეს მიღწეული საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულების დაცვა.

სწორედ ამ მეორე კომპონენტის - ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის მიზნით კანონმდებელმა განსაზღვრა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირის სავალდებულოობა. ამ ფუნქციის განხორციელებისას საჯარო დაწესებულება მხოლოდ მაშინ არის ვალდებული განახორციელოს აქტიური მოქმედება, როდესაც არსებობს დაინტერესებული პირის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე.

უმეტეს შემთხვევაში დაინტერესებული პირები საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადებით იმიტომ მიმართავენ საჯარო დაწესებულებებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების მიერ გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა არ იყოს ამომწურავი, ან კონკრეტულ პირს გააჩნდეს გავრცელებული ინფორმაციის დოკუმენტურად დადასტურების ინტერესი, რაც მისი კანონიერი უფლებაა. საჯარო დაწესებულებათა ანგარიშვალდებულება ვლინდება არა მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებაში, არამედ, მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტურად დასაბუთების ვალდებულებაში. საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაუდასტუროს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს თავისი საქმიანობის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის სისწორე.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ფუნქციები არ შემოფარგლება მხოლოდ ინფორმაციის გავრცელებისა თუ საჯარო ინფორმაციის გაცემის საკითხებით. მათ შესაძლებელია შეთავსებული ჰქონდეთ სხვადასხვა სახის ფუნქციებიც. მაგალითად, ქ. თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციებში შედის:

- ქ. თბილისის მერიის ქვედანაყოფების, რაიონული გამგეობების, საქალაქო სამსახურებისა და ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების ინფორმირება საზოგადოებასთან, დედაქალაქთან, მოსახლეობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე;

- მიზნობრივ პროგრამებში საზოგადოებისა და დედაქალაქის მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზება და ა.შ.

ამგვარი ფუნქციები აქვს ღტოლვილთა და განსახლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს, რომელმაც უნდა იზრუნოს სამინისტროს ავტორიტეტის განმტკიცებაზე და მოახდინოს სამინისტროს საქმიანობის ანალიზი საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით.

გარემოსდაცვითი საკითხებისადმი ინფორმაციის ღიაობის განსაკუთრებით მაღალი სტანდარტების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში არსებული საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ფუნქციები, რომელმაც გარდა სამინისტროს საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისა, უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მონაწილეობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების მხარდაჭერა; სამინისტროსა და საზოგადოებას შორის საერთო ინტერესებისა და შეხედულებების გამოსავლენად საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეხვედრა და ა.შ.

რაც შეეხება, აფხაზეთის ა/რ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებს, შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოების დებულებები არ ითვალისწინებენ ასეთი სამსახურების არსებობას, უფრო მეტიც, ზოგიერთი უწყების დებულებით საერთოდ არ არის განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება. თუმცა, უნდა გამოვეყნოთ აფხაზეთის ა/რ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის დებულების მეორე მუხლის 1-ლი პუნქტის “კ” ქვეპუნქტის თანახმად, სამინისტროს აპარატის ამოცანებია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან სამინისტროს ურთიერთობის კოორდინაცია. ასევე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურების ეფექტურ საქმიანობაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ინფორმაციის თავისუფლების მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, მათი ცხოვრებაში დანერგვა და რეალიზება. ამიტომ, აუცილებელია საჯარო დაწესებულებების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ამ ფუნქციის მქონე სამსახურების შექმნასა და საქმიანობას.

3. საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურები, საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი, 10 დეკემბრის ანგარიშები

ა) ინფორმაციის გაცემის პროცედურები

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად “საჯარო ინფორმაცია არის ოფიციალური დოკუმენტი (მათ შორის ნახაზი, მაკეტი, გეგმა, სქემა, ფოტოსურათი, ელექტრონული ინფორმაცია, ვიდეო- და აუდიო ჩანაწერები), ანუ საჯარო დაწესებულებაში დაცული, აგრეთვე, საჯარო დაწესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია.”

ინფორმაციის კანონით დადგენილი პროცედურებითა და დადგენილ ვადაში გაცემაზე პასუხისმგებელია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც სავალდებულოდ უნდა ჰქაედეს დადგენილი ყველა საჯარო დაწესებულებას. ასეთი ფუნქცია შეიძლება შეასრულოს სხვა საშტატო ერთეულზე დასაქმებულმა პირმა, მაგალითად კანცელარიის უფროსმა, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელმა და ა.შ. თუმცა, საჯარო ინფორმაციაზე არსებული მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით, უმჯობესია ამ ფუნქციის შესასრულებლად დამოუკიდებელი პირი იყოს გამოყოფილი.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა მხოლოდ წერილობითი ფორმით არის შესაძლებელი. სხვა ფორმით ინფორმაციის გამოთხოვისას, შესაბამისი საჯარო მოსამსახურე არ არის ვალდებული მოახდინოს რეაგირება განცხადებაზე. კანონი, ასევე, ადგენს წერილობითი განცხადების სავალდებულო რეკვიზიტებს (ზაკ-ის 78-ე მუხლი):

- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განცხადებელი;
- განმცხადებლის ვინაობას და მისამართს;
- მოთხოვნას;
- განცხადების წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას;
- განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს განცხადება, თუნდაც იგი არ აკმაყოფილებდეს დადგენილ რეკვიზიტებს, დაასვას მას რეგისტრაციის თარიღი და ნომერი. განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გაუგზავნოს ან დაუდასტუროს რეგისტრაციაში გატარება, რომლის საფუძველზეც ათვლება საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის დადგენილი ვადები.

ზაკ-ის 83-ე მუხლი ითვლისწინებს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განცხადების 78-ე მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას 3 დღის ვადაში. თუმცა, ვინაიდან ინფორმაციის გაცემის პროცედურა დროში შემჭიდროვებულია, სასურველი და ლოგიკურიცაა აღნიშნული განხორციელებდეს დაუყოვნებლივ, ინფორმაციის გამოთხოვის განცხადებასთან მიმართებით. იმ შემთხვევაში, თუ განცხადება არ შეიცავს 78-ე მუხლით დადგენილ რეკვიზიტს, ადმინისტრაციულმა ორგანომ განმცხადებელს უნდა განუსაზღვროს ვადა დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად. ეს ვადა არ უნდა იყოს 5 დღეზე ნაკლები (უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება). ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია აღნიშნული ვადის გაგრძელება განმცხადებლის მოთხოვნით მხოლოდ ერთხელ, მაგრამ არა უმეტეს 15 დღისა. შესაბამის ვადაში დამატებითი დოკუმენტის ან ინფორმაციის წარმოსადგენად განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ.

მნიშვნელოვანია, რომ კანონი არ ავალდებულებს განმცხადებელს მიუთითოს ინფორმაციის გამოთხოვის მიზანი და მოტივი.

რაც შეეხება საჯარო ინფორმაციის გაცემის ფორმას, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის ინფორმაციას ითხოვს განმცხადებელი. სურს მას დოკუმენტის ასლის მიღება, დედანში გაცნობა, ნახაზის მიღება თუ ასე შემდეგ.

გასათვალისწინებელია, რომ განმცხადებლის მოთხოვნის შემთხვევაში საჯარო დაწესებულება ვალდებულია დაადასტუროს ასლის დედანთან სისწორე (ზაკ-ის მე-20 მუხლი, დამოწმების ფურცელი და დამოწმების რეგისტრაცია).

ამჟამად, საქართველოს კანონის "ელექტრონული დოკუმენტებისა და ელექტრონული ხელმოწერის შესახებ" მიღების შემდეგ, კანონის სრულყოფილად ამოქმედებამ უნდა გაამარტივოს აღნიშნული პროცედურები და გაუმარტივოს საქმიანობა როგორც საჯარო დაწესებულებების საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურებს, ასევე, დაინტერესებულ მოქალაქეებს.

ერთ-ერთი პოზიტივი რაც საქართველოს კანონმდებლობამ გაითვალისწინა, არის საჯარო ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის ვალდებულება. მართალია, იგი შესაძლოა რთულად შესასრულებელია საჯარო მოხელეებისათვის, მაგრამ კანონი უშვებს 10 დღიანი ვადით სარგებლობის უფლებას, თუ ინფორმაციის გაცემაზე პასუხის გაცემისათვის საჭიროა:

- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებული მისი სტრუქტურული ქვედანაყოფიდან ან სხვა საჯარო დაწესებულებიდან ინფორმაციის მოძიებასა და დამუშავებას;
- მნიშვნელოვანი მოცულობის ერთმანეთთან დაუკავშირებელი ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და დამუშავებას;
- სხვა დასახლებულ პუნქტში არსებულ მის სტრუქტურულ ქვედანაყოფთან ან სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას.

ჩამოთვლილი სამი შემთხვევის სახეზე არსებობისას საჯარო დაწესებულების თანამშრომელი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს 10 დღიანი ვადის გამოყენების აუცილებლობის შესახებ განმცხადებელს.

კანონდებელმა ინფორმაციის გამოთხოვისას ვალდებულებების ძირითადი ტვირთი სამართლიანად დააკისრა ადმინისტრაციულ ორგანოებს. იმ შემთხვევაში, თუ "განცხადებით მოთხოვილი საკითხის

გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია არა უგვიანეს მე-5 დღისა გადაუგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.” ხოლო 2 დღის განმავლობაში გადაგზავნის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს თავად განმცხადებელს (ზაკ-ის მე-80 მუხლი). განცხადების განმცხადებლისათვის დაბრუნება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოსთვის შეუძლებელია უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს დადგენა ან საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია. ასეთ შემთხვევაში, ყოველივე აღნიშნული განმცხადებელს უნდა ეცნობოს 5 დღეში.

რაც შეეხება ინფორმაციის გაცემაზე უარს, იგი აუცილებლად უნდა იყოს დასაბუთებული და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს (გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში). ინფორმაციის გაცემაზე უარი უნდა აკმაყოფილებდეს კონსტიტუციითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაშვებულ შეზღუდვებს, როგორც პროცესუალური, ისე მატერიალური თვალსაზრისით.

ბ) 10 დეკემბრის ანგარიშები და მათი წარდგენის წესი

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, ყოველი წლის 10 დეკემბერს საჯარო დაწესებულება ვალდებულია საქართველოს პრეზიდენტსა და პარლამენტს წარუდგინოს ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნათა დაცვის შესახებ.

ანგარიში უნდა წარადგინოს ყველა საჯარო დაწესებულებამ, ე.ი:

- ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანომ ან დაწესებულებამ;
- საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა);
- ნებისმიერმა სხვა ორგანომ, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა კერძო სამართლის იურიდიულმა პირებმა, ასეთი დაფინანსების ფარგლებში.

საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ანგარიში სრულყოფილად უნდა ასახავდეს ანგარიშვალდებულ დაწესებულებაში ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნათა შესრულების მდგომარეობას.

კანონი ითვალისწინებს ძალზე დეტალური ანგარიშის წარდგენის ვალდებულებას. კერძოდ, იგი უნდა მოიცავდეს:

- საჯარო დაწესებულებაში შემოსული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორებების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობას. მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მასზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობას;
- მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე ან მასზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიმღების საჯარო მოსამსახურის ვინაობას;
- ინფორმაციას კოლეგიური საჯარო დაწესებულების მიერ საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ, ასეთი გადაწყვეტილების რაოდენობას;
- საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვისა და სხვისთვის გადაცემის შესახებ;
- საჯარო მოხელის მიერ საჯარო ინფორმაციის დიალობის საკითხთან დაკავშირებით კანონის მოთხოვნათა დარღვევის რაოდენობისა და პასუხისმგებელი პირის მიმართ დისციპლინური სახდელის დადების შესახებ;
- იმ საკანონმდებლო აქტების შესახებ, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვისას;

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების შესახებ;
- საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ან კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომის დახურვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯების, მათ შორის მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხის შესახებ.

არსებული პრაქტიკა ადასტურებს, რომ ანგარიშების წარდგენა არ ხდება კანონის მოთხოვნათა დაცვით³. წარდგენილი ანგარიშების შესაბამისად, არ იქმნება სრული სურათი თუ რამდენადაა დაცული და რეალიზებული ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლების უფლება. ამისათვის აუცილებელია, კანონით გათვალისწინებული ანგარიშები არა მხოლოდ სტატისტიკურ ხასიათს ატარებდეს, არამედ მოხდეს თითოეულ საკითხთან დაკავშირებით ანალიტიკური ანგარიშის წარდგენა. ასევე, სასურველია ანგარიშში აისახოს საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების შედეგად საჯარო დაწესებულებაში შემოსული თანხების ოდენობაც.⁴

გ) საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი

საქართველოს კანონი “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” ადგენს: **“საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არის სავალდებულო გადასახდელი საქართველოს ბიუჯეტში, რომელსაც იხდის საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული პირი შესაბამისი ორგანოს მიერ ასლის გადაღებისათვის.”**

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადამხდელები არიან საჯარო ინფორმაციის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური და იურიდიული პირები. ადმინისტრაციული ორგანო გადაიხდის აღნიშნულ მოსაკრებელს იმ შემთხვევაში, თუკი მის მიერ სამართლებრივი დახმარების ფარგლებში⁵ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა აღემატება 50 ლარს (საჯარო ინფორმაციის ასლი გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონის მე-4 მუხლი).

საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი არ გადაიხდეინება:

- ინფორმაციის მომთხოვნის დისკეტაზე ან კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერისას;
- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფოსტით გაგზავნისას;
- ფიზიკური პირებისათვის საჯარო დაწესებულებაში მათზე არსებული პერსონალური მონაცემების ასლის გადაღებისას (საჯარო ინფორმაციის ასლი გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონის მე-7 მუხლი, ზაკ-ის 39-ე მუხლი).

დაუშვებელია, საჯარო ინფორმაციის გაცემის დროს დაწესდეს ნებისმიერი სახის ანაზღაურება, გარდა “საჯარო ინფორმაციის ასლი გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონით დადგენილი მოსაკრებლისა (ზაკ-ის 38-ე მუხლი).

რაც შეეხება, მოსაკრებლის ოდენობას “საჯარო ინფორმაციის ასლი გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონით დადგენილია საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების ზუსტი ოდენობა:

- A4 და A5 ფორმატის ქაღალდის ქსეროასლი – ერთი გვერდი – 0,05 ლარი;
- ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – ერთი გვერდი – 0,10 ლარი;
- კომპაქტურ დისკზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკი – 2.65 ლარი;

³ იხ. “ინფორმაციის თავისუფლება საქართველოში”, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2007 წელი. გვ. 26-32

⁴ მართალია ზაკ-ის 49-ე მუხლი არ ითვალისწინებს ამგვარ მოთხოვნას და ვერც გაითვალისწინებდა, რადგან “საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ” კანონი მოგვიანებით იქნა მიღებული, მარგამ ანგარიშში ამ მონაცემების ასახვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია იქნებოდა მაკონტროლებლისთვისაც.

⁵ იხ. ზაკ-ის 16-19 მუხლები;

- დისკეტაზე ინფორმაციის ჩაწერა – 1 დისკეტა – 1,3 ლარი;
- ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის ვიდეოკასეტაზე – 1 საათი 2, 75 ლარი;
- ინფორმაციის ჩაწერა ინფორმაციის მომთხოვნის აუდიოკასეტაზე – 1 საათი 0,50 ლარი.

4. ინფორმაციის თავისუფლების დასაშვები შეზღუდვები (საიდუმლო ინფორმაციის კატეგორიები)

საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის გაცემის შეზღუდვის მკაცრ კრიტერიუმებს ადგენს. უპირველეს ყოვლისა, ინფორმაცია თავისი მატერიალური შემცველობით უნდა იყოს სახელმწიფო, კომერციული, პირადი ან პროფესიული საიდუმლოება. ამასთან, აუცილებელია ის კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით იქნეს გასაიდუმლოებული.

ა) სახელმწიფო საიდუმლოება

“სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონის პირველი მუხლის 1-ლი პუნქტის ადგენს: „სახელმწიფო საიდუმლოება“ არის ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობების, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოების და მართლწესრიგის დაცვის სფეროში, რომელთა გამჟღავნებას ან დაკარგვას შეუძლია ზიანი მიაყენოს საქართველოს ან საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე მხარის სუვერენიტეტს, კონსტიტუციურ წყობილებას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ინტერესებს, რაც ამ კანონით ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით დადგენილი წესით აღიარებულია სახელმწიფო საიდუმლოებად და ექვემდებარება სახელმწიფო დაცვას.”

ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად ცნობისათვისაც გათვალისწინებულია ისეთივე სტადიების დაცვა, როგორც სხვა ინფორმაციის დახურვისათვის. კერძოდ, ინფორმაცია თავისი მატერიალური შემცველობით უნდა აკმაყოფილებდეს სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის კრიტერიუმებს. ასევე, დაცული უნდა იყოს “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონით დადგენილი გასაიდუმლოებისათვის სავალდებულო პროცედურები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისაგან განსხვავებით, “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონი იძლევა ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად ცნობის ზოგად შესაძლებლობას და იმ ინფორმაციის მკაცრ ჩამონათვალს, რომელთა გასაიდუმლოება ამ ნიშნით დაუშვებელია (საქართველოს კანონი “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” მუხლი 8).

სხვა სახის საიდუმლო ინფორმაციებისაგან, ასევე, განსახვებულია სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადებიც. კერძოდ, ინფორმაციის დახარისხება ხდება ოთხ კატეგორიად:

- “განსაკუთრებული მნიშვნელობის” ინფორმაცია მოიცავს იმ მონაცემებს, რომელთა გავრცელება ან დაკარგვა არსებითად იმოქმედებს ქვეყნის ინტერესებზე თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში და გამოიწვევს განსაკუთრებით მძიმე შედეგებს. ამ ხარისხის ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა არ აღემატება 20 წელს;
- “სრულიად საიდუმლო” – მონაცემები, რომელთა გავრცელება დაკარგვა გამოიწვევს მძიმე შედეგებს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკისა და პოლიტიკის სფეროში; აგრეთვე, მძიმე შედეგებს გამოიწვევს იმ პირთა მიმართ, რომლებიც კონფიდენციალურ

საფუძველზე თანამშრომლობენ ან თანამშრომლობდნენ სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის განამხორციელებელ ორგანოებთან. “სრულიად საიდუმლო” ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს;

- “საიდუმლო” ხარისხის ინფორმაციამ შეიძლება **უარყოფითი** გავლენა იქონიოს თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე. გასაიდუმლოების ვადაა 5 წელი.
- “შებლუღული სარგებლობისათვის” ინფორმაციამ შეიძლება **უარყოფითი** გავლენა იქონიოს საქართველოს თავდაცვაზე, სახელმწიფო უსაფრთხოებაზე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებზე ან/და საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების მონაწილე ქვეყნისა თუ ორგანიზაციის ინტერესებსა და საქმიანობაზე. გასაიდუმლოების ვადაა 3 წელი.

ინფორმაციის გასაიდუმლოების ვადა აითვლება ინფორმაციის შემცველზე საიდუმლოობის გრიფის აღნიშვნის თარიღიდან. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია განსაკუთრებულ შემთხვევებში გააგრძელოს გასაიდუმლოების ვადა.

ინფორმაციისათვის საიდუმლო გრიფის მინიჭების უფლებამოსილების მქონე პირები განსაზღვრულია საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულებით “სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის შესახებ.” ეს პირები არიან: საქართველოს პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, პრემიერ-მინისტრი, უშიშროების საბჭოს მდივანი, საკონსტიტუციო და უზენაესი სასამართლოების თავმჯდომარეები, უზენაესი სასამართლოს წევრი მოსამართლეები, სახელმწიფო მინისტრები და მათი მოადგილეები, მინისტრები და მათი მოადგილეები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე და მისი მოადგილეები, გენერალური პროკურორი და მისი მოადგილეები, პრეზიდენტის თანაშემწეები და სხვა.

თავის მხრივ, უწყების ხელმძღვანელები ამტკიცებენ იმ თანამდებობის პირთა სიას, რომლებსაც უფლება აქვთ ინფორმაციის შემცველზე აღნიშნონ საიდუმლოობის გრიფი.

ასეთი უფლებამოსილების მქონე პირთა სია არის ღია ინფორმაცია.

ბ) კომერციული საიდუმლოება

კომერციული საიდუმლოების ცნება მოცემულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27²-ე მუხლში, რომლის თანახმად კომერციული საიდუმლოება არის “**ინფორმაცია კომერციული ფასეულობის მქონე გეგმის, ფორმულის პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, მოსამზადებლად, გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან/და რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს, აგრეთვე სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას.**”

შესაბამისად, კანონი ადგენს შინაარსობრივ მოთხოვნებს, ანუ ინფორმაცია შინაარსობრივად უნდა შეიცავდეს ისეთ ცნობებს, რომელთა გამჟღავნებაც შეუძლია პირისათვის ზიანის მოტანა. მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით მოცემული “**სხვა**” ინფორმაცია, “**რომლის**” გამჟღავნებამ შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას, გულისხმობს კანონმდებლის მიერ სუბიექტური კრიტერიუმის დადგენას, ანუ კანონმდებელი არ იძლევა ამომწურავ, ობიექტურ ჩამონათვალს იმ ინფორმაციისა, რომელიც შეიძლება იყოს კომერციული საიდუმლოება. შესაბამისად, სუბიექტური ნიშნის საფუძველზე ინფორმაციის გასაიდუმლოებისას გამსაიდუმლოებელს აკისრია საკუთარი გადაწყვეტილების დასაბუთების ვალდებულება.

ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ არ წარმოადგენს კომერციულ საიდუმლოებას.

მხოლოდ ის, რომ ინფორმაცია კომერციული შინაარსის შემცველია, არ ნიშნავს, რომ იგი იმთავითვე საიდუმლო ინფორმაციაა. ასეთად ცნობისათვის აუცილებელია კანონით დადგენილი პროცედურების დაცვა. კერძოდ, უპირველეს ყოვლისა უნდა იყოს გამოხატული იმ პირის ნება, ვისი კომერციული შინაარსის მქონე ინფორმაციაც არის დაცული საჯარო დაწესებულებაში, ანუ ინფორმაციის წარდგენისას პირმა უნდა მიუთითოს, რომ მიწოდებული ინფორმაცია მისი კომერციული საიდუმლოებაა.

პირის მიერ ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად აღიარების ნების გამოხატვა არ არის საკმარისი მის გასასაიდუმლოებლად. აღნიშნულთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება საჯარო დაწესებულების დისკრეციას მიეკუთვნება. 10 დღის განმავლობაში დაწესებულებამ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად კანონშესაბამისია პირის მოთხოვნა ინფორმაციის გასაიდუმლოების შესახებ.

თუ საჯარო დაწესებულებამ მიიჩნია, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია არ აკმაყოფილებს კომერციული საიდუმლოებისათვის განსაზღვრულ კრიტერიუმებს, ის იღებს გადაწყვეტილებას ინფორმაციის გასაიდუმლოებაზე უარის თქმის შესახებ. უარი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს განმცხადებელს.

თუ განცხადებელმა არ გაასაჩივრა ინფორმაციის გასაიდუმლოებაზე საჯარო დაწესებულების უარი, 15 დღის შემდეგ ინფორმაცია ხდება ღია.

კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დამუშავების პროცედურები, მსგავსად პერსონალური მონაცემებისა, მოიცავს საჯარო რეესტრში ისეთი ინფორმაციის შეტანას, როგორცაა მესამე პირის ან საჯარო დაწესებულების მიერ აღნიშნული ინფორმაციის გამოთხოვა, მოთხოვნის თარიღი, მომთხოვნის ვინაობა და მისამართი.

გ) პროფესიული საიდუმლოება

საჯარო მოხელეებს თავიანთი სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას უშუალო შეხება აქვთ პირად, კომერციულ ან სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ინფორმაციასთან. ნებისმიერი საჯარო მოხელე, რომლისთვისაც ცნობილია საიდუმლო ინფორმაცია, ვალდებულია დაიცვას იგი გამჟღავნებისაგან.

აღნიშნული საკითხის განხილვისას ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ საკითხზე, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, **“პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ის ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით.”** ამავე მუხლში კანონმდებელი აკონკრეტებს: **“პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პირად ან კომერციულ საიდუმლოებას.”** მოყვანილი დებულების შესაბამისად, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისეული განმარტება ამავე კოდექსის მიზნებისთვის პროფესიული საიდუმლოების განსაზღვრისას შემოიფარგლება მხოლოდ პირადი და კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაციით.

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული საიდუმლოების ზაკ-ის განმარტება არ მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების საკითხს, იმ პირისთვის, რომლისთვისაც სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას ცნობილი გახდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობები, აღნიშნული ინფორმაცია წარმოადგენს პროფესიულ საიდუმლოებას. მართალია, ტერმინს – “პროფესიული საიდუმლოება” – არ იცნობს “სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” კანონი, მაგრამ კანონში დეტალურად არის ასახული იმ საჯარო მოხელეთა მიერ საიდუმლო ინფორმაციის დაცვის ვალდებულებები, რომლებსაც დაშვება აქვს ასეთი სახის ინფორმაციასთან. კერძოდ, დაწესებულება ვალდებულია შექმნას ყველა პირობა სახელმწიფო საიდუმლოების დასაცავად, ხოლო თანამდებობის პირები პერსონალურად აგებენ პასუხს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ცნობების დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამავე კანონის

თანახმად: “პირი, რომელიც სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაუშვებს ვალდებულია არ გაახმაუროს სახელმწიფო საიდუმლოება, რომელიც მას გაანდეს ან მისთვის ცნობილი გახდა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს”. უფრო მეტიც, საიდუმლო ინფორმაციასთან შეიძლება დაშვებულ იქნას პირი, რომელსაც საიდუმლო ინფორმაციის გაცნობა სჭირდება თავისი სამსახურებრივი ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის. ერთ-ერთი უმთავრესი პირობა, რომელიც წაყენება საიდუმლოებასთან დაშვებულ პირს, არის ვალდებულების აღება დაიცვას მისთვის განდობილი სახელმწიფო საიდუმლოება.

5. პერსონალური მონაცემების დაცვა, საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, პასუხისმგებლობა პირადი საიდუმლოების დარღვევისათვის

კანონის შესაბამისად, პერსონალური მონაცემები არის საჯარო ინფორმაცია, რომელიც პირის იდენტიფიცირების შესაძლებლობას იძლევა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არ იძლევა პირადი საიდუმლოების განმარტებას, იგი უშუალოდ დაკავშირებულია პერსონალური მონაცემების ცნებასთან. ანუ, პერსონალური მონაცემები იმთავითვე დახურულ ინფორმაციას არ წარმოადგენს. იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემები გასაიდუმლოვდეს, აუცილებელია ის ცნობილ იქნეს პირად საიდუმლოებად.

დაუშვებელია საჯარო დაწესებულებამ გაახმაუროს პირად საიდუმლოებად მიჩნეული პერსონალური მონაცემები. პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის გაცემა დასაშვებია ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. კერძოდ, თუ არსებობს თვით ამ პირის თანხმობა ან სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.⁶

მოყვანილი წესი არ ვრცელდება თანამდებობის პირთა (აგრეთვე თანამდებობაზე წარდგენილ კანდიდატთა) შესახებ არსებულ ინფორმაციაზე. თანამდებობის პირთა ჩამონათვალი კი განსაზღვრულია საქართველოს კანონში “საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ”.

კანონმდებლობა პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად ცნობის 2 საფუძველს აღგენს:

1. იმ პირის გადაწყვეტილება, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია;
2. კანონით გათვალისწინებული შემთხვევა.

პირველ შემთხვევაში პირი წერილობითი ფორმით ადასტურებს საჯარო დაწესებულებაში მის შესახებ არსებული ინფორმაციის გასაიდუმლოების ნებას. ეს შეიძლება განხორციელდეს მის მიერ განცხადების წარდგენით, ან საჯარო დაწესებულების მიერ დადგენილი ფორმის განცხადებაზე ხელმოწერით და ა.შ.

რაც შეეხება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევას, მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ “პაციენტთა უფლებების დაცვის შესახებ” კანონი, რომლის თანახმად, პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ თვით პაციენტს. ასევე, კანონი პირდაპირ მიუთითებს, რომ პაციენტის წინასწარი თანხმობის გარეშე ინფორმაცია შეიძლება გაიცეს მხოლოდ სასწავლო მიზნით. ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს პაციენტის ანონიმურობა და გამორიცხული უნდა იყოს მისი იდენტიფიცირების შესაძლებლობა. დამატებით მაგალითად შეიძლება მოყვანილ იქნას “ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტი: “მოსწავლეს, მშობელს და მასწავლებელს უფლება აქვთ მიიღონ სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა პირადი საიდუმლოების შემცველი ინფორმაციისა.”

6. ზაკ-ის 44-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.

დაუშვებელია პერსონალური მონაცემების სახით პირის რელიგიური, სექსუალური ან ეთნიკური კუთვნილების, პოლიტიკური ან მსოფლმხედველობრივი შინაარსის შემცველი ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და შენახვა (ზაკ-ის 43-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი).

თუ საჯარო დაწესებულება დადგენილი შეზღუდვების საწინააღმდეგოდ, მაინც აგროვებს და ინახავს ასეთი სახის ინფორმაციას, სახეზე გვაქვს კანონმდებლობის უხეში დარღვევა და ძალზე მაღალი ალბათობა იმისა, რომ არსებული მონაცემები გახდეს დისკრიმინაციის საფუძველი.

მნიშვნელოვანია, რომ პირს არ შეიძლება უარი ეთქვას საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე. უფრო მეტიც, საკუთარი პერსონალური მონაცემების გამოთხოვისას იგი გათავისუფლებულია კანონით დადგენილი მოსაკრებლის გადახდისაგან.

პერსონალური მონაცემების შეგროვებისა და დამუშავებისას საჯარო დაწესებულება ვალდებულია მიმართოს იმ პირს, რომელზეც გროვდება ინფორმაცია, აცნობოს მას ინფორმაციის შეგროვების ფაქტი, განუმარტოს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძველი. პირს უნდა განემარტოს სავალდებულოა თუ ნებაყოფლობითი პერსონალური მონაცემების მიწოდება.

სხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კონკრეტული ინფორმაციის მოპოვება შეუძლებელია უშუალოდ იმ პირისაგან, რომლის მონაცემების შეგროვებაც ხდება. იმ შემთხვევაში, თუ პერსონალური ინფორმაციის მოძიება მოხდა სხვა წყაროების მეშვეობით, კონკრეტულ პირს (ვის პერსონალურ მონაცემებსაც აგროვებს დაწესებულება) უნდა ეცნობოს მონაცემების წყაროები და შინაარსი.

მნიშვნელოვანია პირს განემარტოს, თუ ვის შეიძლება გადაეცეს მისი მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, ანუ საჯარო დაწესებულება ვალდებულია პირს აცნობოს იმ მესამე პირების შესახებ, რომელთაც შეიძლება გადაეცეთ პერსონალური მონაცემი.

პერსონალური მონაცემების დამუშავების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოთხოვნას წარმოადგენს საკუთარ პერსონალურ მონაცემებში შესწორების შეტანის უფლება. საჯარო დაწესებულებამ პირის მოთხოვნის ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა გაანადგუროს კანონით განსაზღვრული მიზნით გაუთვალისწინებელი მონაცემები. აგრეთვე, განადგურებას ექვემდებარება არაზუსტი, არასარწმუნო, არასრული და საქმესთან დაუკავშირებელი მონაცემები. გარკვეულ შემთხვევებში შესაძლებელია არ განადგურდეს ესა თუ ის მონაცემები, არამედ შეიცვალოს ზუსტი, სარწმუნო, დროული და სრული მონაცემებით. საჯარო დაწესებულებამ გადაწყვეტილება ცვლილებების შეტანის შესახებ უნდა მიიღოს 10 დღის ვადაში.

ყველა ზემოთ მოყვანილი პროცედურა აუცილებლად უნდა აისახოს საჯარო დაწესებულების საქმისწარმოებაში. კერძოდ, დაწესებულებამ უნდა შეინახოს შესწორებული მონაცემები, მათი გამოყენების დროის მიხედვით, შესაბამის მონაცემებთან ერთად, მათი არსებობის მანძილზე, მაგრამ არანაკლებ 5 წლის განმავლობაში.

მესამე პირების მიერ პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება ვალდებულია აცნობოს პირს მისი პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ. შეტყობინების ვალდებულება არ ვრცელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მესამე პირმა გამოითხოვა პირად საიდუმლოებად მიჩნეული ინფორმაცია.⁷

⁷ პირად საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაცია, როგორც უკვე აღინიშნა, 44-ე მუხლის თანახმად არ გაიცემა იმ პირის წერილობითი თანხმობის გარეშე, ვის პირად საიდუმლოებასაც ითხოვს მესამე პირი.

მესამე პირებისათვის პერსონალური მონაცემების გადაცემამდე აუცილებელია ყველა გონივრული ზომა იქნეს მიღებული იმის გადასამოწმებლად არის თუ არა ზუსტი, საქმესთან კავშირში მყოფი, დროული და სრული ის ინფორმაცია რომელიც უნდა გაიცეს.

და ბოლოს, მნიშვნელოვანია რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ყველა მონაცემი შეტანილ იქნეს საჯარო რეესტრში, მათ შორის მესამე პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა, მოთხოვნის თარიღი, მომთხოვნის ვინაობა და მისამართი.

რაც შეეხება, პასუხისმგებლობის საკითხს, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-9 ნაწილის აცხადებს: **“ყველასათვის გარანტირებულია სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით ანაზღაურება სახელმწიფო სახსრებიდან.”**

კონსტიტუციით გაცხადებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა გამყარებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ელ პუნქტში: **“სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.”** ადგილობრივი თვითმმართველობის პასუხისმგებლობაზე საუბარია ამავე მუხლის მე-2 პუნქტში.

კანონმდებელი ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების დაცვის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 47-ე მუხლით კიდევ ერთხელ ადგენს დაინტერესებული პირის მიერ ინფორმაციის თავისუფლების დარღვევისათვის ქონებრივი და არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ამ სახის დავის წარმოშობის შემთხვევაში, ზიანის არარსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 46-ე მუხლის შესაბამისად, **“პერსონალური ინფორმაციის შეგროვების კანონიერების თაობაზე მტკიცების ტვირთი ეკისრება საჯარო დაწესებულებას.”**

დავის არსებობისას, საჯარო დაწესებულებაზე დაკისრებული მტკიცების ტვირთი გულისხმობს, რომ მის მიერ სათანადოდ უნდა დასაბუთდეს მიღებული გადაწყვეტილების კანონიერება (ინფორმაციის გაცემა, უარი ინფორმაციის გაცემაზე თუ უმოქმედობა), რაც ვერ/არ გამოიწვევდა ზიანს. საჯარო დაწესებულების მსჯელობა ნათელი და დამაჯერებელი უნდა იყოს იმ კუთხითაც, რომ არ არსებობს უშუალო კავშირი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასა და დამდგარ ზიანს შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში მან სრულად უნდა აანაზღაუროს პირისათვის მიყენებული ქონებრივი თუ არაქონებრივი ზიანი.

6. ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული დავების განხილვა ადმინისტრაციულ და სასამართლო ორგანოებში

ა) ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენა

საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2007 წლის 28 დეკემბერს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად, ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების დარღვევისათვის დაინტერესებულმა პირმა საგადასმელოდ უნდა წარადგინოს ადმინისტრაციული საჩივარი იმავე ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელმაც გამოსცა აქტი, იმ შემთხვევაში თუ იქ არსებობს ადმინისტრაციული აქტის გამომცემი თანამდებობის პირის, ან სტრუქტურული ერთეულის ქვედანაყოფის ზემდგომი თანამდებობის პირი. ასეთის არარსებობის

შემთხვევაში, ადმინისტრაციული საჩივარი შეტანილ უნდა იქნეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში. ადმინისტრაციული საჩივარზე არ გადაიხდებიან სახელმწიფო ბაჟი.

სასამართლოში სარჩელის წარდგენის უფლება წარმოიშობა მხოლოდ ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის და განხილვის შემდეგ.

ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნას საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის ვადაში. იმ შემთხვევაში თუ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ადგილი აქვს უმოქმედობას, მაშინ საჩივრის შეტანის ვადის ათვლა დაიწყება იმ დროიდან, როდესაც ეს მოქმედება უნდა შესრულებულიყო (ზაკ-ის 180-ე მუხლი, 177-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

რაც შეეხება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადებს, ის შეადგენს ერთ თვეს. თუმცა, საჯარო დაწესებულებას გააჩნია დისკრეცია, განსაკუთრებით რთული საკითხების გადასაწყვეტად ეს ვადა გაზარდოს დამატებით ერთი თვით, ანუ **“თუ კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს ერთი თვისა.”** (ზაკ-ის 183-ე მუხლის მე-4 ნაწილი). აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ადმინისტრაციული საჩივრის მიღებიდან 7 დღის ვადაში და დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საჩივრის ავტორს.

ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას ძალზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვა, რათა დაინტერესებულმა პირმა სრულყოფილად შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული საჩივრის რეგისტრაციიდან 5 დღის ვადაში უნდა მიიღოს წერილობითი გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული საჩივარი არ არის სრულყოფილად წარმოდგენილი ან არ ერთვის შესაბამისი დოკუმენტები, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განუსაზღვროს საჩივრის ავტორს ვადა, **“რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარდგინოს დამატებითი დოკუმენტები ან ინფორმაცია.”** (ზაკ-ის 83-ე მუხლი)

რა შემთხვევაში შეიძლება ადმინისტრაციულმა ორგანომ უარი თქვას ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა და განხილვაზე? ამ შემთხვევაშიც კანონი გვაძლევს ამომწურავ ჩამონათვალს, კერძოდ ადმინისტრაციული ორგანო არ განიხილავს ადმინისტრაციულ საჩივარს თუ:

- არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება ან განჩინება იმავე დავის საგანზე მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობის, ან მხარეთა მორიგების დამტკიცების თაობაზე;
- სასამართლო წარმოებაშია საქმე დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძველით;
- არსებობს ამ ორგანოს ან ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილება იმავე საკითხზე; (იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით)
- ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება იმავე ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით;
- საჩივარი შეიტანა ქმედუნარო ან არაუფლებამოსილმა პირმა;
- გასულია ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის კანონით დადგენილი ვადა.

მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული საჩივრის მიღებასა და განხილვაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე მისცეს საჩივრის ავტორს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.

ადმინისტრაციული ორგანო წარმოების პროცესში ვალდებულია სრულყოფილად გამოიკვლიოს ყველა ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოება. აღნიშნული განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გადაწყვეტილება მიიღოს საკითხის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

გარემოებების გამოკვლევისას ადმინისტრაციულმა ორგანომ ადმინისტრაციული საჩივრის ავტორს უნდა მისცეს დამატებითი მასალებისა თუ მოსაზრებების წარმოდგენის შესაძლებლობა. **“თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირი, აგრეთვე სხვა დაინტერესებული მხარე საკუთარი მოსაზრებას, აგრეთვე საქმესთან დაკავშირებულ დამატებით დოკუმენტებს წარადგენს ზეპირი მოსმენის სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს 5 დღისა.”** ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა, კანონით ზუსტად განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გარდა (ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საჩივარი თუ არსებობს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის საფუძველი და ადმინისტრაციული წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული მხარე თანახმაა საქმის განხილვაზე ზეპირი მოსმენის გაუმართავად), წინასწარ შეატყობინოს ზეპირი მოსმენის ჩატარების თარიღი და დრო, შეადგინოს სხდომის ოქმი და დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს სხდომის ოქმის ასლი.

ადმინისტრაციული საჩივართან დაკავირებით ადმინისტრაციული წარმოების დასრულების შედეგად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი გადაწყვეტილება:

- დააკმაყოფილოს ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა;
- უარი თქვას ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;
- ნაწილობრივ დააკმაყოფილოს ადმინისტრაციული საჩივრის მოთხოვნა.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით არის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტი.

ბ) სარჩელის წარდგენა სასამართლოში

ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის შემდეგ დაინტერესებულ პირს შეუძლია აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში. სარჩელი სასამართლოში შეტანილ უნდა იქნეს დაინტერესებული პირისათვის აქტის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

რა ხდება იმ შემთხვევაში როდესაც ადმინისტრაციული ორგანო საერთოდ არ რეაგირებს ადმინისტრაციული საჩივარზე და არ გამოსცემს აქტს ერთ თვიანი ვადის გასვლის შემდეგაც? ასეთ შემთხვევაში, სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის ხანდაზმულობის ვადები არ აითვლება.

სახელმწიფო ბაჟი სასამართლოში სარჩელის შეტანისათვის არის დავის საგნის ღირებულების 3 პროცენტი, მაგრამ არა უმცირეს 100 ლარისა.

ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებით სარჩელის წარმდგენ პირს შეუძლია სასამართლოს წინაშე დააყენოს შემდეგი მოთხოვნები:

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა ან ძალადაკარგულად გამოცხადება იმ შემთხვევაში, თუ აქტი პირდაპირ და უშუალო

(ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მის უფლებას, ან უკანონოს ზღუდავს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;

- ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, თუ მის კანონიერ ინტერესს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოსგან აქტის გამოცემა და გამოუცემლობა პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მის უფლებას, ან უკანონოს ზღუდავს მის კანონიერ უფლებას ან ინტერესს;
- ქმედების განხორციელება, ანუ შესაძლებელია მხოლოდ ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით შემოიფარგლოს, იმ შემთხვევაში როდესაც ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან უმოქმედობას აქვს ადგილი.

საბოლოოდ, სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას:

- სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ;
- სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;
- სასარჩელო მოთხოვნის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.